17/11/2019

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგება (17.11.2019)

ჩვენთან არს ღმერთი!

,,დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი!“ ჩვენ ყოველდღე ვკითხულობთ დავითნს, ფსალმუნებს და იქ წერია ეს სიტყვები – ,,დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენნი.“

თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გააცნობიეროს, რომ ბედნიერება ენიჭება ადამიანს ღვთისაგან. ბედნიერება არის ღვთის ლოცვა-კურთხევა. ადამიანი ღირსი უნდა იყოს ბედნიერებისა. ლოცვაში ,,მამაო ჩვენოს“ რომ ვკითხულობთ, იქ არის სიტყვები: ,,პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს“. თქვენ გიფიქრიათ რატომ ამბობს უფალი ,,მომეც ჩვენ დღეს?“ ამბობს იმიტომ, რომ ადამიანის აწმყო და მომავალი და წარსულიც, – ყველაფერი ღვთის ხელშია.

ჩვენ ვცხოვრობთ რთულ დროს, ისეთ დროს, როცა ყველაფერი იცვლება, ყველაფერი არამყარია. ერთ დღეს შეიძლება შეიცვალოს ყველაფერი. ნაპოლეონი ამბობდა, ,,დიდებიდან სასაცილომდე ერთი ნაბიჯიაო“, და ეს უნდა გვახსოვდეს, უნდა ვიცოდეთ,

რომ ერთი ნაბიჯია დიდსა და მცირეს შორის, კარგსა და ცუდს შორის.

ერთმანეთს დავეხმაროთ, ერთმანეთს ვუშველოთ. ნუ დავუმძიმებთ ცხოვრებას ისედაც მძიმეა ჩვენი ყოფა. პავლე მოციქული ამბობს: ,,ერთმანეთის სიმძიმე იტვირთეთ და ასე აღასრულეთ რჯული იგი ქრისტესი.“

ჩვენ უნდა აღვზარდოთ ჩვენი შვილები სახარების მიხედვით. ვასწავლოთ მათ მოწყალება, რათა წყალობა ღვთისა მოიპოვონ. წყალობა ღვთისა უნდა დაიმსახუროს ადამიანმა. ჩვენ ვმადლობთ უფალს მისი დიდი წყალობისათვის. დიდება უფალს და მადლობა უფალს.

ღვთის წყალობა გფარვიდეთ თქვენ. ღვთის წყალობამ დაიცვას და დაიფაროს საქართველო.

დღეს ჩვენ ვლოცავთ ოჯახებს და სხვადასხვა ორგანიზაციებს.

დღეს ილოცებიან შემდეგი გვარები: ფანჩვიძეები, მოსულიშვილები, ფხალაძეები, ბეზიაშვილები, ნარსიები, ტარიელაძეები და მამაიშვილები.

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ, გაგამრავლოთ, გაგაძლიეროთ. წყალობა ღვთისა სუფევდეს თქვენთან. ამინ.

დღეს ასევე მობრძანებულები არიან დასალოცად და ილოცება ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის სამღვდელოება და მრევლი, ასევე ილოცება ქალაქ დედოფლისწყაროს წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატი და ასევე ილოცება საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია და მისი პრეზიდენტი ბ-ნი პაატა გურასპაული. საკალათბურთო გუნდები: ზაზა ფაჩულიას აკადემია, სოხუმი, ივერტაიმი, იბერი, მართვე, თბილისის დინამო, ორბი და ვიქსი.

მშვიდობა სიხარული დ გამარჯვება მოგცეთ ზეციერმა უფალმა. დალოცვილი იყავით.

შეგახსენებთ რომ მომავალ შაბათს არის გიორგობა. 15 წელი სრულდება, რაც გიორგობის დღეს გაიხსნა ეს წმინდა ტაძარი და წირვა-ლოცვა აქ შესრულდება. ასევე შეგახსენებთ, რომ ბავშვების ნათლობა შედგება შაბათს, გიორგობის დღეს, ამ წმინდა ტაძარში. დალოცვილი იყავით.

ჩვენთან არს ღმერთი!

— patriarchate.ge